ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი 1896 წ. **№ 5** ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი 1896 წ.

რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

## „ცნობის ფურცელი"

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".

## რედაქციისაგან

„ცნობის ფურცლის" 1, 2, 3 და 4 №№-ები, დასტამბული 1200 ეგზემპლიარად, უკვე დაურიგდა ხელის მომწერთ. ახალი ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ მხოლოდ მე 5 №-დან.

---

გაზეთის დამტარებელთა გამოუცდელობით ქალაქის ხელის მომწერებს გაზეთი დროზედ ვერ მისდით; რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ეს ნაკლი თავიდან მოიშოროს.

---

**კაბინეტი კბილის ექიმისა**

**ვ. ი. ჰიჰინაძისა**

ნიკოლოზის ქუჩა ,სახლი საგინოვისა, 21, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

---

ტფილისის მეორე საქალებო საკვირაო სკოლაში, რომელიც იმყოფება ჩუღურეთში, პანასევიჩის ქუჩაზედ, სამოქალაქო სკოლის სადგომში, სწავლის მსურველნი მიიღებიან. ყოველ კვირა დღეს. სწავლა უფასოა. იწყება დილის 12 საათზე.

(5—2 უ.)

---

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

23 ოქტომბერი

ახალ სენაკი. განსვენებულ თავადის ნიკოლოზ ტარიელისძე დადიანის ცხედარი ჩამოასვენეს ახალსენაკში. განსვენებულის პატივსაცემლად დიდძალი ხალხი მოგროვდა რკინის გზის სადგურზედ. მიცვალებულ თავადს დაკრძალავენ ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს.

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენის დიდებულისა და სახელოვანის მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავი, დიდუბეში, ამ ჟამად სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული... მოაჯირიც-კი ძლიერ დაძველდა, დღეს თუ ხვალ წამოიქცევა კიდეც და პატრონი და გულშემატკივარი არსადა სჩანს.

იქვე, დიდუბეში, ასვენია პატიოსანი გვამი ჩვენის სახელოვანის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისა და ნუ თუ ჯერ დრო არ არის ვიფიქროთ შესაფერნი ძეგლნი დაუდგათ ორთავე მამულიშვილთ!

აქვე უნდა გავიხსენოთ შემდეგი გარემოებაც.

ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გადასდო ფული ჩვენის სახელოვანის მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ძეგლისათვის. აქამდე ჯერ არავინ იცის, რა გაკეთებულა ამ საქმისათვის.

*** გუშინ, 23 ოქტომბერს, ტფილისში გათავდა კენჭის ყრა ჯარში გასაწვევ ახალგაზდებისა.

*** ჩვენ გვატყობინებენ ქუთაისიდამ, რომ აგერ ორი დღეა, რაც საოლქო სასამართლოში დაიწყო დიდი საქმე ურიების წინააღმდეგ შარშან მომხდარ უწესოების გამო ქუთაისში. დამნაშავის სკამზედ ზის 39 ბრალდებული, მოწმეთ გამოწვეულ-არიან 140 მდე კაცი. სასამართლოში თავმჯდომარეობს ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ამხანაგი ლიტოვჩენკო, პროკურორი ქუკოვსკი, ბრალმდებელთა ვექილებად არიან მოსე ქიქოძე და კალისტრატე ჩიკვაიძე. მომეტებულ დამნაშავეთ ვექილები არა ჰყავთ. საქმე ერთს კვირაზე მეტს გაგრძელდება თურმე.

*** ჩვენი ახალგაზდა მომღერალი სერგეი ევლახიშვილი, ამ ჟამად ქ. მილანში ოპერაში იღებს მონაწილეობას. ევლახიშვილმა თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა და პირველად გალობის სწავლა ქ. მოსკოვს მიიღო განსვენებულის ყორღანოვის სასწავლებელში; ამით არ დაასრულა თავისი მუსიკალური სწავლა; ამ მიზნით იტალიის ქ. მილანში წავიდა და ეხლა, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, უკვე ოპერაში იღებს მონაწილეობას. ევლახიშვილს მოსაწონი ბარიტონი აქვს, მუსიკა ესმის და კარგს მომავალს უქადიან.

*** რუსეთის გაზეთებიდან ამოვიკითხეთ, რომ ამ თვეს პეტერბურგის ხაზინაში მომზადდება ოქროს ფული ასი მილიონისა, ვერცხლის მანათები და ნახევარ მანათიანები ოცდა ხუთი მილიონი და წვრილი ვერცხლის ფული ერთი მილიონი.

*** ქალაქ განჯის მიდამოებში, როგორც გაზეთი „კავკაზი" იუწყება, ავაზაკებს მოუკლავთ განჯის ცნობილი და მდიდარი ვაჭარი ნერსეს ნერსესოვი, უწინდელი პატრონი ქედაბეგის სპილენძის ქარხნისა. ნერსესოვი თურმე ქედაბეგის ქარხნიდგან განჯაში მიდენილა ცხენით. თან მსახური ახლდა. განჯას რომ მიუახლოვდა, მსახური წინ გაჰგზავნა და რაღაც დაავალა სახლში. თითონ ნელა გაუდგა გზას. მსახური სახლში მოვიდა და უცადა ბატონს. გაიარა კარგა ხანმა და ნერსესოვი არ გამოჩნდა. მაშინ მსახურმა იფიქრა, იქმნება, ცუდი რამ შეემთხვა ბატონსაო, რადგან საღამო მოტანებული იყო და გზაც საშიში. ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს. მეორე დღეს განჯინ მცხოვრებ ჯან-ბეგის ბაღთან, ორღობეში იპოვნეს ნერსესოვის გვამი. ჰფიქრობენ, რომ ნერსესოვი ქალაქის ახლოს მოჰკლეს, იმ ადგილას, რომელსაც ბეგმალიაროს ეძახიან და მერე გვამი სხვა ადგილას წაუღიათ, რომ გამოძიებას თვალი აუბან. დამნაშავენი აქამდე ვერ აღმოუჩენია პოლიციას.

*** ყარსის რკინის გზის კეთება რომ დაიწყეს, გვწერენ ბორჩალოს მაზრიდგან, ყველგან ხალხი შეიძრა და სიხარულით წამოვიდა რკინის გზისაკენ სამუშაოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაუმართლდათ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ აქაურნი იჯარადარნი ძლიერ ცუდად ექცევიან მუშებს. მაგალითად: მეურმეებმა ქირით აიღეს ცემენტის წაღებათ ახტალის ხიდამდის.

კონვერტზედ გამგზავნელი ახტალის ხიდის მაგიერად სანაინის ხიდს წერს (სანაინი ახტალაზედ შორს არის ქალაქიდგან). მეურმეს მიაქვს ასტალის ხიდამდის და იქ უჩვენებს კონვერტს. ეუბნებიან, სანაინამდის უნდა წაიღოთო...

გარდა ამისა აქაურ ახლომახლო სოფლებიდგან ჩამოდიან სამუშაოდ. თითო კვირას მუშაობენ, მერე ფულს სთხოვენ, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს „პალუჩკამდის" მოიცადეთო; საწყალი მომუშავე უცდის რავდენსამე დღეს, ბოლოს გაბეზრებული მეტის მოცდით, თავს ანებებს ნამუშავარს და შინისკენ მიემგზავრება.

მოვიდა ფულის მიღების დროც. ფული არ არის. გადის ერთი თვე, მეორე, მესამე და მაინც ფული არ არი. ამასწინათ ისიც მოიგონეს, რომ ფული მოგვქონდა, მაგრამ რა-კი ყაჩაღები დაგვიხვდნენ უკან წავიღეთო.

ამ ახალო ხანებში მომუშავენი აუჯანყდნენ იჯარადრებს ჯამაგირის თაობაზედ. საქმე იქამდის მივიდა, რომ კარებში ყარაულები დაუყენეს,

მაგრამ გულ-მოსულ და გაბეზრებულ ხალხს ყარაულებმა ვერ გაუძლეს, შევიდნენ სახლში; შეშინებულმა იჯარადარმა ბარათები მისცა: ქალაქში მიიღებთ ფულსაო, ჩამოდიან ქალაქში და ახლა აქ უხდებათ საძებარი—ის კაცი, ვისთანაც ბარათია გამოგზავნილი. ვინ იცის, რამდენი საჩივარი არ ასტყდა, რამდენმა არ გამოიტირა თავისი ნამუშავარი...

საქმე იქამდის მიდის, რომ ლამის მუშებმა ოფლთან ერთად სისხლიც დასთხიონ და მაინც ვერ ეღირსონ თავიანთი ნამუშავარს...

⁂ ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობა დამდეგი იანვარის 1897 წლიდან იჯარით აძლევა ბუფეტებს შემდეგ სტანციებში: ბუფეტები ცხელის საჭმლებით—სადგურ ბათომში, სამტრედიაში, რიონში, ყვირილაში, ქიათურაში, ხაშურში, გორში, ტფილისში, ალსტაფაში, განჯაში, ფოილოში, აჯიქაბულში და ბაქოში; ბუფეტები ცივის საჭმელებით: სადგურ ქუთაისში, ახალ-სენაკში, ქობულეთში, ნატანებში, სუფსაში, მცხეთაში, ყარაიაზში, ძეგამში, უჯარაში, ქურდამირში, ალიათში და საბუნჩაში; ხოლო პატარა სავაჭრო დუქნები: ბათომში, აბაშაში, ლანჩხუტში, სამტრედიაში, რიონში, ქუთაისში, ყვირილაში, ბელაგორში, ხაშურში, გომში, მცხეთაში, ავჭალაში, ტფილისში, ალსტაფაში, ძეგამში, განჯაში, აჯიქაბულში, ბაქოში, ბოსლევში, ლიაქში, უჯარაში და ქურდამირში.

ერთსა და იმავე პირს შეუძლიან იჯარით აიღოს ბუფეტები ან დუქნები მხოლოდ ორს სადგურზედ.

მსურველთ შეუძლიანთ შემოიტანონ რკინის გზის მმართველობაში თხოვნები სწორედ 15 ნოემბერს 1896 წელს, ნაშუადღევის პირველ საათზედ. ვინც ამ ვადას გადასცილდება, იმათი თხოვნები აღარ მიიღებიან. თხოვნების კონვერტზე უნდა იყოს დაწერილი რუსულად „Заявленіе на буфеты“. ამ თხოვნებთან ერთად წარდგენილ უნდა იყოს კვიტანციები, რომ მთხოვნელს უკვე გირაო შეუტანია რკინის გზის კასსაში, ხოლო გირაო ცხელ საჭმლებიან ბუფეტებისათვის დადგენილია 300 მანათი და ცივ საჭმლებიან ბუფეტებისა 150 მან და დუქნებისათვის 50 მ. გირაოს რკინის გზის მმართველობა დააბრუნებს 15 ნოემბრის შემდეგ. მსურველთ დაწვრილებითი ცნობები შეუძლიანთ შეიტყონ რკინის გზის მმართველის კანცელარიაში ყოველდღე.

⁂ გამოგიცდიათ, მკითხველო, ოდესმე ჩვენის ამიერ კავკასიის რკინის გზით მოგზაურობა მაშინ, როდესაც მოგზაურთა სიმრავლეა და ბუზს ფრთის გასაშლელი ალაგი არა აქვს. ასეთი ამბავი მოხდა სამშაფათს, 22 ოქტომბერს, ბათუმიდგან მომავალს მატარებელში, რომელიც საღამოს 10 საათზედ ჩამოდის ტფილისში. მთელი მატარებელი ისე იყო ავსებულ-გაჭედილი, რომ ხალხს დაძვრა არა ჰქონდა. მესამე კლასით მოგზაურნი პირველ კლასის დერეფანში შეჯგუფულიყვნენ, ისმოდა რკინის გზის წესების წინააღმდეგ დრტვინვა-ჩივილი და ამას ერთვოდა მამლის უდროული ყივილი და გოჭების ჭყვირილი, რომელიც ვიღაც მანდილოსნებს პირველის კლასის კუპეში შეეტანათ, ადგილი რომ ვერსად ეპოვნათ. ნუ თუ არ შეიძლება, რომ ეს უწესობა გაწესიანდეს როგორმე და ცხოვრების მოთხოვნილებას რკინის გზამ თავისი მოქმედება შეუფეროს? კასსაში სამი ათასიც რომ მივიდეს ბილეთების სათხოვნელად, კასსირი აძლევს ბილეთებს, თუნდა სამის ვაგონის მეციც არ ებას მატარებელს.

ამას ერთი ამბავიც უნდა დაურთოთ: მაშინ, როდესაც ფულის გარდამხდელნი პირველ-მეორე კლასის მოგზაურნი ქათმებისა, გოჭებისა და სხვა ოთხ-ფეხ საზოგადოებაში იმყოფებოდნენ, ვიღაც რკინის გზის სადეპოს ნაწილის უფროსს გაემართა ლოგინი პირველ კლასის ერთს კუპეში, დაესაკუთრებინა იგი და ხალხის დრტვინვა-ჩივილს ისიც თავისს არხეინს ხვრინვას ურთოდა. ესეც კიდევ ერთი მაგალითი ჩვენს რკინის გზაზედ შემოღებულ წესებისა!

⁂ ვერაფერი საქმე ემართებათ არტისტებს ჩვენს პაწია, საპროვინციო ქალაქებში. პროვინციელთა გულ-ცივობას ვერ შეალხობს და შეათბობს ხოლმე ვერც გრძელი, დასურათებული განცხადება და ვერც სხვა ათასი დაპირება, რომ საღამოსა და წარმოდგენაზედ დამსწრენი სიამოვნებით გაატარებენ დროსაო. პროვინციელი წაბლის ფუჩეჩშია ღრმად გახვეული და არაფერს ყურადღებას არ აქცევს. ერთი ასეთი საქმე დაემართა ქ. გორში ბ-ნს იასინსკისაც, ცნობილს თვალთ-მაქცსა და თეთრსა და შავის მაგიის პროფესორს, სპარსეთის შაჰისას. არტისტი მობრძანდა გორში, გააკრა უშველებელი დასურათებული განცხადება და იწვევდა გორის საზოგადოებას (?) კლუბში. დადგა დღე წარმოდგენისა, მაგრამ კლუბის დარბაზში ერთი ადამიანიც-კი არა სჩანდა... უკაცრავად, სჩანდა მხოლოდ ერთი ადამიანი და ისიც კლუბის მსახური იყო, რომელიც ბ-ნს იასინსკის ბილეთების მოსაკრეფად დაეყენებინა. ბ-ნი იასინსკი, მსხვერპლი გორის საზოგადოების გულ-ცივობისა, აიბარგა და გაქრა გორიდგან. ეს ამბავი ისე სამწუხარო არ იქნებოდა, საზოგადო მოვლენა რომ არ იყოს და ასევე რომ არ ემართებოდეთ ჩვენის სცენის არტისტებსაც; თქვენგან არ მიკვირს, თვალმაქცის გაცრუებას ვინ ინაღვლებდა!

⁂ მიხეილის სამკურნალოს ფულის პატიება. კავკასიის სამკურნალო განყოფილების მმართველობამ მიჰმართა მთავარ-მართებელს და სთხოვა, შეგვატყობინეთ, 1894 წლის 14 ნოემბრის მანიფესტას ძალით ეპატივებათ, თუ არა გარდასახადი იმათ, ვისზედაც ტფილისისის მიხეილის სამკურნალოში წამლობის ფული დარჩა. მთავარმართებელმა ამ კითხვითვე მიჰმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, და იქიდგან ბრძანება მოვიდა, რომ ვისაც ტფილისის მიხეილის სამკურნალოს ფული ჰმართებს წამლობისა 1894 წლის 1 იანვრამდე, ყველას ეპატიოთ გარდასახადიო.

⁂ მცხოვრებთა ასაწერად დაარსებულ ტფილისის კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სასწავლებელთა მთავრობას და სთხოვა: ნება დართეთ ტფილისის მოსწავლეთ მონაწილეობა მიიღონ მცხოვრებთა აღწერაშიო. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და უფროს კლასების მოსწავლეებს ზემოხსენებული ნება მიეცათ.

⁂ მტკვარი იმ ზომამდე დაკლებულია, რომ ალაგ-ალაგ შესაძლოა ფონათაც გასვლა. მოხუცი და ბუნებაზე დაკვირვებულნი ამბობენ, წელს დიდი და ცივი ზამთარი უნდა იქმნესო, რადგან ჯერ წიფობის თვე არ გასულა და მტკვარი დაიწმინდა და იკლო კიდეცო. უმთავრესი მიზეზი დაკლების—მთებში ადრე თოვლის მოსვლის და დიდი ყინვების მიზეზიაო.

⁂ გაზეთ „მშაკ“ სწერენ ბაქოდგან, რომ ქ-მა შოგაკატ მელიქიანისამ, განსვენებულის მეუღლის მინასის სახსოვრად საქველ-მოქმედო საქმეს შესწირა 14,000 მანათი.

⁂ ამ მოკლე ხანში გამგეობა წარუდგენს საბჭოს თავის მოხსენებას მასზედ, რომ ტფილისში დაწესებულ იქმნას ორ-ორი მანათი გარდასახადი მუშა და მოსამსახურე მეხოკრებლებზედ, რათა ამ ფულით შესდგეს თანხა მუშათა საავადმყოფოს გასამართავად. გამგეობას სახეში აქვს ააშენოს ისეთი სახლი, სადაც მოთავსდებოდეს 240 კრაოტი ავადმყოფთათვის.

⁂ ქალაქის ინჟინერმა ძერჟანოვსკიმ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა იმის შესახებ, თუ რა დაუჯდება ქალაქს ქუჩების ასფალტით დაგება. ჯერ-ჯერობით ინჟინერს აზრადა აქვს დაჰფინოს მხოლოდ სამი ათასი ოთხ-კუთხი საჟენი ადგილი. უმთავრესად დაიფინება კუკიის სწორე ქუჩები, როგორც, მაგალითად, მიხეილის ქუჩა ელისაბედისა, ნიკოლოზისა და სხვანი. საზოგადოება, რომელიცა კისრულობს ამ საქმის აღებას, ათის წლით გაანაწილებს ფასის აღებას. საჟენი ამ გვარის ფენილისა ჰღირს 27 მანათამდე, ასე რომ წელიწადში ქალაქმა იჯარადარს უნდა აძლიოს მხოლოდ რვაას თუმნამდე.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბატონი როინაშვილი დაჰპირებია „ნაძალადევის“ მცხოვრებთ, თუ გსურთ, ამ ჟამადვე ჩემის ხარჯით აგიშენებთ ისეთს სახლს, რომ შიგ მოთავსდეს სკოლა, სამკითხველო და საკმაოდ დიდი დარბაზი, რომელშიაც შესაძლებელ იყოს წარმოდგენების გამართვა, იმ პირობით, რომ რაც ფული დაიხარჯება ამ შენობისთვის, ნაწილ-ნაწილად გადაიხადოთო.

⁂ სოფ. ქსოვრისში წელს ჭირნახული მცირე იყო. რთველი უკვე გათავდა, მაგრამ სამწუხაროდ არვინ არის კმაყოფილი, და ყველანი მოსავალს უჩივიან. ამინდები ჯერჯერობით კარგებია.

⁂ თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ ამ დღეებში გაუგზავნა ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიას პასუხი თ. ორბელიანისა და ბანკის სხვა ოპოზიკიის წევრების საჩივარზედ. მომჩივრები სთხოვენ სამინისტროს, რომ 19 თიბათვის კრება და მისი განაჩენები გაუქმებულ იქმნენ, ხოლო 20 მაისის არჩევნები კანონიერად ცნობილიყოს, და რომ თ. ი. ჭავჭავაძის, უგ. თ. გრუზინსკის ზედამხედველი კომიტეტის და თ. ჩერქეზიშვილის მაგიერ ამოსარჩევად საგანგებო კრება იყოს დანიშნული, რადგან ამ პირთ 20 მაისს კრებაზედ უარი განაცხადეს თავიანთ თანამდებობის აღსრულებაზედ.

⁂ წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ ამ ზაფხულს სთხოვა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნებართვა სახალხო ბიბლიოთეკის გახსნისა. იმედია ნებართვას მიიღებს საზოგადოება და ამით მაინც შეავსებს იმ ნაკლს, რომელიც აქვს ქუთაისის ქალაქის მიერ გახსნილს ბიბლიოთეკას და რომელზედაც ჩვენის გაზეთის № 1-ში იყო მოხსენებული.

⁂ ერთს რუსულს გაზეთში სწერია: წარსულ თვეს სირაკუზიდგან ტონსანდისლონში, შეერთებულ შტატებში, ერთი მატარებელი წავიდა, რომელზედაც მოხელენი და მგზავრები სულ ქალები ყოფილან. მატარებელზედ სულ 900 ქალი იყო. მემაშინედ იყო ტონსანდ-ისლონის მოურავის ცოლი.

თითოეულ ვაგონში იყო თითო კონდუქტორი და თითო კონტროლერი ქალი ამერიკის რკინის გზე-

ბის მოხელეთა ტანთ-საცმელით.

მერე ქალებმა ისეირნეს ონტარიოს ტბაზედ ორის გემით. გემზედ არც ერთი მამა-კაცი არ ყოფილა. მემანქნე, კაპიტანი, გემის მოხელენი სულ ქალები იყვნენ. სირაკუზში დაბრუნებამდე ქალებს არც ერთს მამა-კაცისთვის ხმა არ გაუციათ. გაზეთი არას ამბობს, მხიარულად იმოგზაურეს ამ ცხრაასმა ქალმა, თუ არა?

*** ქუთაისიდგან ჩვენ გვატყობინებენ, რომ მოკლე ხანში აქედგან გაემგზავრებიან რამდენიმე წარმომადგენელნი თავად აზნაურობისა და ქალაქ ქუთაისისა პეტერბურგს, იმ აზრით, რომ უმაღლეს მთავრობასთან იშუამდგომლონ შემდეგ საგნებზე: 1, ქ. ქუთაისს დიდი ხანია დაპირებული აქვს სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნა—ზემოხსენებული წარმომადგენელნი ფინანსთა მინისტრს განუახლებენ თავის თხოვნას ამ განყოფილების გახსნის შესახებ. 2. შარშანდელის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იყო 15,000 მანათი რაჭის რკინის გზის გამოკვლევისათვის და ეს გამოკვლევა-კი ჯერ-ჯერობით არ დაწყობილა. რაჭის რკინის გზას ქუთაისისთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება. მუდამ რომ იგი ქუთაისზე გაივლის. ქუთაისის წარმომადგენელნი იშუამდგომლებენ, რომ შეჩერებული გამოკვლევა განახლდეს. 3, შარშანვე, როცა მეურნეობის და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ქუთაისში იყო, მან მოისმინა მოხსენება ქუთაისისა და მის გუბერნიის საჭიროების შესახებ, და ქალაქისა და გუბერნიის წარმომადგენელთ აღუთქვა შემწეობა. პეტერბურგს მიმავალნი წარმომადგენელნი სახელმწიფო ქონებათა მინისტრს განუახლებენ შარშანდელს შუამდგომლობას და სთხოვენ დაპირების შესრულებას.

## პოლიციის მატიანე

22 ოქტომბერს, დიდუბეში, ჩხუბი მოუვიდათ ტფილისის მოქალაქეთა შვილებს თევდორე მტრიაშინს და თევდორე პედალკინს. ჩხუბში პირველმა მეორე მსუბუქად დასჭრა კალმის დანით. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს.

21 ოქტომბერს, ღამე, დიდუბეშივე. ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის თანაშემწის გ—ს სახლში ფანჯარა გასტეხეს და ერთი ხელი ტანთ-საცმელი მოიპარეს. გამოძიება სწარმოებს.

## თეატრის მატიანე

ოპერა. 22 ოქტომბერს ახალს თეატრში გამოსცადეს ელექტრონის მანქანები. ყველაფერი რიგიანად აღმოჩნდა მოწყობილი. ამბობენ, რომ 26 ოქტომბერს ამავე თეატრში გამართულ იქმნება რეპეტიცია პირველის წარმოდგენისა. ამზადებენ ოპერას „ჟიზნ ზა ცარია“.

—

ამ ჟამად ნიკიტინის ცირკის შეკეთება დაიწყეს. თვით ცირკის პატრონი ნიკიტინი ჩამოვა თავისის მოთამაშეებით შაბათს, 26 ოქტომბერს: წარმოდგენები დაიწყობა ნოემბრის პირველს რიცხვებში.

—

განთქმული არტისტი ქალი ელეონორა დუზე, ამ ცოტას ხანში თურმე რუსეთს დაივლის, სხვათა შორის ოდესაშიაც იქმნება. ამ ჟამად არტისტი ქალი როლებს სწავლობს და ყოველ დღე რეპეტიციაზეა. სხვათა შორის დუზეს შეუსწავლია სამი როლი, სამივე ახალს პიესაში: „მეორე ცოლი“ პონეროსი; „ბორკილებში“ პოლ ერვიესი და „სულის უფლება“-ში ჯაკოზისა.

--

ამ დღეებში ვენის „ბურ-თეატრში“ და ბერლინის „ნემცურ თეატრში“ წარმოდგენილ იქმნენ ერთსა და იმავე დროს სამი ახალი თითო მოქმედებიანი პიესა, ზუდერმანისა, ამ სამს პიესას საერთო სახელი აქვს „Morituri“ (მომაკვდავნი). თვითეულ პიესას თავისი საკუთარი აზრი და ფაბულა აქვს, მაგრამ სამივე პიესაში გამოყვანილია ერთი მომქმედი პირი. პიესა თურმე ძრიელ მოსწონებიათ ბერლინში და ვენაშიაც.

## მწერლობა და მწიგნობრობა

ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ს. ტარუაშვილის მიერ შედგენილი „გოტიკური ანბანი“ ღირს 5 კაპ. ანბანის შემოსავლის 20°/₀ შემდგენელს გადაუდვია მომავალის საქალებო ქართულის სკოლისათვის. საზოგადოდ გოტიკურს ანბანს არა უჭირს რა.

## გამოსადეგი ცნობა ოჯახობაში.

ეგვიპტეში ძლიერ გავრცელებულია ხელოვნებით გამოჩეკა წიწილებისა. თითო ქარხანა ყოველ წელიწადს 300—600 ათას წიწილას გამოჩეკავს თურმე. ზოგიერთ ადგილებში 3—5 ქარხანაა ამ გვარი. ქარხანას დიდ ბაზარის ახლოს აკეთებენ. ქარხანა წიწილას არა ზრდის, მისი საქმე მხოლოდ გამოჩეკაა. რამდენსამე დღის წინად ბაზარში გზავნიან ამბავს, ამა და ამ დღეს მოველით წიწილების გამოჩეკასაო. ეს ამბავი უცბად მოედება მახლობელ სოფლებს, და დანიშნულ დღეს ქარხანაში მოდიან დედაკაცები გალიებით და წიწილებს ყიდულობენ. 100 წიწილა იყიდება თოთხმეტ აბაზათ. ქარხანაში ვაჭრებიც მოდიან, ყიდულობენ წიწილებს და მერე დაშორებულ სოფლებში მიაქვთ გასასყიდად.

სოფლებში წიწილებს სხამენ გალიებში, თითოში 20—30 და აჭმევენ დანაყულს და ოდნავ დასველებულს ფეტვს. ღამე წიწილები ოთახში შეჰკავთ. რამდენსამე დღის შემდეგ წიწილა იმდენად მოიზდება, რომ თითონ შეუძლიან საჭმლის ძებნა. მაშინ წიწილებს თავისუფლად უშვებენ და მხოლოდ ღამ[ღ]ამობით შერეკავენ ხოლმე დიდს საქათმეში. ფრთას რომ შეისხავს წიწილა, იმ წამსვე გაპტყვნიან და მერეასუქებენ. უცხოელ კაცს ძლიერ უკვირს ხოლმე ეგვიპტეში ათასობით რომ ხედავს გაპტყვნილს წიწილებს, რომლებიც არხეინად დასეირნობენ მზეზედ.

ეგვიპტეში 150-მდე ქარხანაა წიწილის გამოსაჩეკი. ქარხნის წინ ერთი შენობაა, სამ ოთახათ გაყოფილი. უმთავრესი ოთახი ისეა მორთული, რომ გარედგან ჰაერი არა მუშაობს. იანვრის დამდეგს ქარხანაში ანთებენ ღუმელებს. ღუმელს ახურებენ ჯერ პატივით და მერე ჩალით.

როცა დრო მოახლოვდება, კვერცხების ჩაწყობისა, ქარხანა სოფლებში ამბავსა ჰგზავნის, ამა და ამ დღეს კვერცხსა ვყიდულობთო. გლეხებს დანიშნულ დღეს ათასობით მოაქვთ კვერცხი. ათას კვერცხში 7 მანათს აძლევენ. კვერცხს აწყობენ ღუმელში, ქვეშ ქატოს უყრიან, რომ არ ჩამოგორდეს. ექვსის დღის შემდეგ თითო კვერცხს სათითაოდ სინჯავენ. სინათლეზედ და რომელსაც შეატყობენ, კვერცხს გაყებას, ცალკე გადასდებენ. ოთხის დღის შემდეგ კიდევ ასე გასინჯავენ კვერცხებს. 15 დღის შემდეგ კვერცხს ყოველ დღე სინჯავენ, რომ შეიტყონ, საქმე როგორ არის. ოცდა ერთი დღე რომ შესრულდება, წიწილა გამოჩეკას დაიწყობს., ახლად გამოჩეკილს წიწილას ორის დღით საგანგებოდ მისთვის გამართულ ადგილს ინახავენ და მერე ჰყიდიან.

ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩი კაიროში ბ-ნი კარდველი სწერს სხვათა შორის: «ერთს ქარხანაში ზედამხედველებად იყვნენ თითქმის ბრმა მოხუცი და 16 წლის ყმაწვილი. ორთავენი ჩაკეტილნი იყვნენ ქარხანაში, სადაც უცხო კაცს სრულებით აკრძალული აქვს შესვლა. ქარხანაში შეიძლება შევლა მხოლოდ უმაღლესის ბრძანებით. ქარხნის ყოველ გვარი საქმე საიდუმლოა».

იმ ქარხანაში, რომელზედაც სწერს ელჩი, 270 ათასი წიწილიდგან გამოიჩეკა 234 ათასი წიწილია, ისისც იმიტომ, რომ კვერცხი შორეულ ადგილიდან იყო მოტანილი. ერთის სიტყვით, წიწილის გამოჩეკა მშვენივრად არის მოწყობილი ეგვიპტეში; თუ ერთმა ყმაწვილმა 234 წიწილა გამოაჩეკინა, წარმოიდგინეთ, რა სახეირო ყოფილა ეგვიპტესთვის წიწილის გამოჩეკა.

—

1) ჰაერის გაწმენდა საყმაწვილო ოთახებში. საშუალოდ შეძლებულ ოჯახებში, მშობელნი იძულებულ არიან მოათავსონ პატარა ოთახში რამდენიმე ბავშვი ერთად, რის გამოისობითაც ჰაერი ძლიერ ფუჭდება ოთახში. ამ საზარალო უმარჯვობის ასაცდენლად ექიმი გოლმსტენი ურჩევს შემდეგს:

ექიმის ბარათით (რეცეპტი) იშოვეთ აფთიაქში ფასფორს, რომელიც წყალში ინახება, რომ არ აფეთქდეს. ფთხილად ამოიღეთ ერთი წკირი და წყლით სავსე თეფშში ჩადეთ ისე, რომ მის მეტი ნაწილი წყლის გარედ დარჩეს. ეს წყლის ზემოთ დარჩენილი ნაწილი ბოლვას დაიწყებს და ნამწვს წყალი დალევავს, ამისაგან მთელი ჰაერი მჟავბადით იჟღენთება. ესეთი თეფში დადგმული ღამე (თუმცა დღითაც რომ დადგას არა დაშავდება რა) საყმაწვილო ოთახში, უშიშარს, მიუდგომს ბავშვებისაგან, არც თუ ძლიერ მაღალ ალაგზედ, აძლევს ჰაერს ახალი ჰაერის სუნს და სიგრილეს; ამასთანავე, უნდა მოგახსენოთ, დაწმენდილს ამ საშუალებით ჰაერს აქვს მომსპობი გავლენა მიკრობებზედ და ამიტომ ნაჩვენები საშუალებით არა მარტო ჰაერი იწმინდება. ამას მომსპობი (обеззараситель.) ხასიათიც აქვს.

2) ღრუბელი-ნიადაგი. საშუალო სიდიდის ღრუბელი წყლით გაჟღინთეთ და ისე გაწურეთ, რომ შიგ ნახევარი შესმული წყლისა ისევ დარჩეს; შემდეგ მის ნესტოებრივ ნაწილებში ჩასდეთ თესლი ადვილად აღმომცენი ბალახებისა (სამყურა, ფეტვი და სხვა). ამ გვარად ჩათესილ ღრუბელს ჩასდებთ ჯამში, ან რაიმე ჭურჭელში და იმ ფანჯარაში. სადაც მზე უდგება, დასდგამთ. ყოველ დღე ერთი კვირის განმავლობაში დილდილობით დაჰნამავთ წყლით. ეს სრულებით საკმაოა, რომ ღრუბელი მშვენიერის ბალახებით დაიფაროს. ამ გვარადვე ამოვა ღრუბლებზედ წიწმატი და სხვა-და-სხვა ჯური სალათისა.

3) ღრუბლის ხმარება ჩოტკის ნაცვლად. ტანისამოსის საწმენდად, მეტადრე ხავერდისა, პლიუშისა და მაუდისა, ჩოტკი რომ ღრუბლით შეცვალოთ, ემჯობინება. ჩოტკი ბუსუსს აფრცქვნის და ღრუბელი კი არა. აიღეთ ღრუბელი ორი მუშტის ოდენა, დაასველეთ წმინდა წყალში და მაგრა გაწურეთ, ჯერ ხელით და მერე რამდენჯერმე სალფეთქში, ამ ღრუბლით გაწმენდილი ჩოტკზე კარგად ასუფთავებს მტვერისაგან ტანისამოსს. ღრუბელი სუმბუქად ესმის ტანისამოსს და ბუსუსს სრულებით არ აფუჭებს. მტვრის გარდა ღრუბელი აცლის სუფთათ ტკბილეულს, ფურთხს და სხვა. მაშინ როდესაც

ჩოტკი უფრო სვრის ამ შემთხვევაში.

4) ღრუბლის გაწმენდა. ღრუბელი ჯამში ჩასდეთ, დაჭრით ლიმონი და ღრუბელს დააწურეთ, დანარჩენი წვრილ-წვრილად დასჭრით და გარშემო შემოუყარეთ. ზედ ადუღებული წყალი დაასხით და ესე მთელს დღე და ღამე დასტოვეთ. ამის შემდეგ ამოიღეთ ღრუბელი, ცივ წყალში გაავლეთ. თუ გინდათ ღრუბლეს კარგი ფერი მისცეთ, რამდენისამე წუთს სამყავეში ჩასდეთ და შემდეგ კარგა გარეცხეთ ცივ წყალში.

## ცნობა სასამართლოდან.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევათ შემდეგი საქმეები:

25 ოქტომბერს.

— ოლექსი წულუკიძისა ივანე ჩხენკელთან მიწის თაობაზე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე.—

27 ოქტომბერს.

— თავადი ილია ხერხეულიძისა ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზედ, რომ მას სასამართლომ არ დაუმტკიცა მამული, კუთვნილი კნ. ნინო ციციშვილისა.—

— ალექსი და იასე ჩანკოტაძეთა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—საქმისა გამო თომა ფარცვაძესთან ფულების თაობაზედ.

— კესარია წულუკიძისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—ბასილ ცივციგაძის მამულის მეძიებლობის შესახებ.

— ოქროპირ ჰელიძისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—ლევან გოცირიძესთან ფულის თაობაზედ.

31 ოქტომბერს.

ნინა თულაშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—სიმონ დვალიშესთან, მამულის თაობაზედ.

12 ნოემბერს.

სურნალის (ქუთაისის მაზრაში) მამულების გამიჯვნის დროს ატეხილი დავა განირჩნვა 12-ს მომავალს გიორგობისთვეს.

## ვაჭრების საყურადღებოდ.

—

25 ნოემბრეს ქუთაისის გიმნაზიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარის გასაცემათ. იჯარადარმა უნდა აძლიოს გიმნაზიას 1897 წელს სანოვაგე, ტანთ-საცმელი და სხვა და სხვა საქონელი. პირობათა შეტყობა შეიძლება ყოველ დღე გიმნაზიის კანცელარიაში, კვირა უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

## საკალენდარო ცნობა

ოქტომბერი

24. ხუთშაბ. მოწ. არეთასი, ღირ. სვინკლიკიტასი, ნეტ. ელევზოისი და იაონესი.

25. პარასკ. მოწ. მარკიანესი, მარტვირისა, და ანასტასესი.

26. შაბათ. წმ. დიდ. მოწ. დიმიტრისა. ღირ. ათანასესი.

27. კვირა წმ. მოწ. ნესტორისა, მარკოზისა, ღირ. ანდრიასი.

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 10 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 21 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

სატვირთო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ი. იმედაშვილის და ს. ჰელიძის გამოცემანი:

№ 1

**ლექსები და პოემები**

ი. ეკდოშვილისა.

ფასი 25 კ.

№ 2 „ნატვრა," ლეგენდა შ. მღვიმელისა.

ფასი 2 კ.

წიგნების უმთავრესი საწყობი: გიორგიევის ქუჩა, არჯევანიძის სახლში, № 14, ამხ. ს. ჰელიძის და ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(тринадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | 6 р. — к |
| „ 11 „ | 9 „ 50 „ | „ 5 „ | 5 „ 25 „ |
| „ 10 „ | 8 „ 75 „ | „ 4 „ | 4 „ 75 „ |
| „ 9 „ | 8 „ — „ | „ 3 „ | 3 „ 50 „ |
| „ 8 „ | 7 „ 25 „ | „ 2 „ | 2 „ 75 „ |
| „ 7 „ | 6 „ 50 „ | „ 1 „ | 1 „ 50 „ |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 ра Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяц..

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей и благотворительныхъ учрежденій **ПЛАТА ПОНИЖЕННАЯ—7 Р. ВЪ ГОДЪ.**

Подписка и объявленія принимаютс я**ВЪ ТИФЛИСѢ**: въ конторѣ газеты—Барятинская ул., № 8. Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія„.

**РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА** газ. „**НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ**„ производится:авъ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ **ЛЕДЕРЛЕ**, Невскій просп., № 42, д. рмянской церкви; въ **Москвѣ**—въ книжномъ магазинѣ **КАРБАСНИКОВА**, Моховая улица; въ книжнихъ шкапахъ станцій ростово-владикавк. жел. дороги: **Владикавказъ, Бесланъ, Тихорѣцкая и Ростовъ**,

ევროპიულ ტანისამოსის მკერავი

# ონისიმე დავითის ძე სალაყაია

ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა, მაღაზია № 24.

ღებულობ ვაჟკაცების ყოველგვარ ტანისამოსთა კერვას, შედარებით სხვებთან იაფად. საქმეს ვასრულებ წმინდად და დროზედ.

—

**Портной О. Д. Салакая**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинск. Дворянства, № 24.

იბეჭდება და გამოვა ამ მოკლე ხანში

# საქართველოს კალენდარი

მომდევნი **1897** წლისათვის

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის ნახატებით და ქართველ მწერალთა და მოღვაწეებთა სურათებით.

მიიღებიან განცხადებანი კალენდარში დასაბეჭდათ. ფასი თითო გვერდისა 5 მან.—50 მანეთამდე.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 го Октября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია